ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 142333211**

თარიღი:**28/11/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილში) დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოცემეასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-120-ე მუხლებისა და საქართველოს კანონის ,,საქარტველოს სივრცის, დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილში) დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მომზადებასა და გამოცემეასთან დაკავშირებით დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. დაევალოს ქ. ბათუმის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება.

3. განკარგულების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

4. განკარგულების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვროს განკარგულების პროექტისა (თანდართული მასალების) და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე განმეორებით მიეთითოს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად გამოქვეყნებულ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში.

5. განკარგულების პროექტის განსახილველ საქმეზე ზეპირი სხდომა გაიმართოს 10 დეკემბერს.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.batumi.ge არაუგვიანეს 2023 წლის 30 ნოემბრისა) გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე ბრძანება თანდართულ მასალებთან ერთად საჯაროდ გაცნობისათვის

წარდგენის მიზნით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.batumi.ge).

8. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი